

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გათვალისწინება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

¹ფიქრია ვარდოსანიძე, ²ნინო ჯავახიშვილი

¹ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
²დ.უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გათვალისწინება საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში. ასოცირების ხელშეკრულების უმაღლესი განათლებასთან დაკავშირებული ნაწილი აქცენტს ხარისხზე და ინტერნაციონალიზაციაზე აკეთებს. ამიტომ, განხილულია ბალტიის ქვეყნების, როგორც ყოფილი საბჭოთა და ამჟამად ევროპის სივრცის გამოცდილება ამ კუთხით.

ბალტიის ქვეყნებში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რამდენიმე დამოუკიდებელი სააგენტოს არსებობა შესაძლებლობას აძლევს ამ ქვეყნების უნივერსიტეტებს აირჩიონ ნებისმიერი მათგანი ავტორიზაცია-აკრედიტაციისათვის. ეს, თვის მხრივ, ხელს უწყობს მცირე აკადემიური რესურსის მქონე ქვეყნებში ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას, ხოლო უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია სააკრედიტაციო პროცესში უცხოელ ექსპერტთა ჩართულობაში გამოიხატება.

თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე დგას ამოცანა, მოამზადონ მაღალკვალიფიციური და დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი პერსონალი, სპეციალისტები, რომელთაც შეეძლება შესაბამისად გამოიყენონ მიღებული ცოდნა და ჰქონდეთ სწავლისა და სწავლების, კვლევის უნარები. უნივერსიტეტებში კვლევა და სწავლება განუყოფელია, რათა სწავლის პროცესი არ იყოს საზოგადოების ცვალებადი მოთხოვნებისა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევების მიღმა. ამგვარი შედეგების მიღება ხარისხიანი განათლების მიწოდებითაა შესაძლებელი, რისთვისაც უმაღლესი განათლების სისტემაში დამკვიდრებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

განათლების ხარისხის ცნების გაგება მრავალგვარია: „მთავრობის თვალში ხარისხი იმდენად არის მიღწეული, რამდენადაც სტუდენტი დადგენილ ვადებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში ასრულებს პროგრამას ... სტუდენტთა აზრით, ხარისხი მიღწეულია, თუ განათლება დაკავშირებულია მათ ინდივიდუალურ ინტერესებთან ... ყველაზე ხშირად ვხვდებით ხარისხის ისეთ დეფინიციას, როცა ხარისხი გულისხმობს დამკვეთის სურვილსა და მოლოდინს ... ხარისხი წარმოადგენს მუდმივად ცვალებად მდგომარეობას ... რაც დღეს შეიძლება დამაკმაყოფილებელ ხარისხად ითვლებოდეს, ხვალ შეიძლება შეფასდეს არადააკმაყოფილებლად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხარისხი არის დინამიკური მდგომარეობა“ [7. 2-3]. ხშირად, ხარისხის უზრუნველყოფა, ხარისხის კონტროლი, ხარისხის გარანტია ერთობლივად გამოიყენება და გულისხმობს მომსახურეობის ან პროცესის ხარისხის

უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულ ქმედებებს – ხარისხის სისტემაში განხორციელებული ყველა დაგეგმილი და უწყვეტი აქტივობა, რითაც დასტურდება კონკრეტული პროდუქტის, სერვისის ხარისხის მოთხოვნების შესრულება. ბოლონის დეკლარაციებში, ბერლინის კომუნიკა (2003 წ.) პირველი დოკუმენტი, სადაც გაჟღერდა განათლების ხარისხის შიდა და გარე შეფასება. ბოლონის პროცესის ფარგლებში არსებობს E⁴ ჯგუფი, რომელშიც შედის ENQA (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია), EUA (ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია), EURASHE (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულ ასოციაცია) და ESIB (ევროპის სტუდენტთა ნაციონალური კავშირები). 2004 წელს ბერლინის შეხვედრის შემდეგ, E⁴ ჯგუფს აქვს პასუხისმგებლობა ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე.

ხარისხის უზრუნველყოფისთვის ასევე საინტერესოა, თუ როგორ ინერგება განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტები ეროვნული განათლების სისტემის კონტექსტში. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ამოცანაა მონიტორინგი გაუწიოს კონკრეტულ, ეფექტურ სტანდარტებს (მეთოდი, მიდგომა), რომლებიც მორგებულია ეროვნული განათლების კონტექსტს. შესაბამისად, უნდა მოხდეს „განათლების სტანდარტებისა“ და „კომპეტენციების“ განსაზღვრა. განათლების ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლებას, უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას; რეკომენდაციების შემუშავებას უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით; ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზებას; სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობას; საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობას.

საქართველო ტრანსკონტინენტური ქვეყანაა. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ქართული კულტურა ვითარდებოდა და ვითარდება დასავლური და აღმოსავლური კულტურის კონტექსტში, თუმცა, სოციალურ-პოლიტიკურად და კულტურულად იგი ევროპის ნაწილია. საქართველომ საბოლოო დამოუკიდებლობას 1991 წელს მიაღწია. სამოქალაქო ომისა და მძიმე ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, ქვეყანა შედარებით სტაბილური გახდა. საქართველო არის წარმომადგენლობითი დემოკრატია, ორგანიზებული როგორც უნიტარული, ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ქვეყანა ამჟამად არის რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, მათ შორის გაერო, ევროპის საბჭო, სუამი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა. საქართველო ასევე აქტიურად ცდილობს ევროკავშირში ინტეგრაციას და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო ხელს უწყობს ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარებას, მის მიერ შემუშავებულ პროგრამას „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა (2018-2020)“ და საქართველო-ევროკავშირის ასოციაციის შეთანხმების მოთხოვნების შესრულებას მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარების მიმართულებით.

საქართველოს სახელმწიფოს აქვს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება ევროკავშირთან – ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, რომელიც გაფორმდა 2016 წლის 26 ივნისს. ასოცირების ხელშეკრულება პარტნიორი ქვეყნების ევროპის კავშირის სტანდარტებსა და ნორმებთან დაახლოების მთავარი ინსტრუმენტია. საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება ოთხი დიდი თავისგან შედგება: საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; სამართალი და საშინაო საქმეები; ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA); და მეოთხე თავი, რომელიც აერთიანებს რამდენიმე საკითხს, მათ შორის გარემო, მეცნიერება, განათლება, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და რეგიონული განვითარება. ასოცირების შეთანხმება საქართველოს და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებს არ სთავაზობს ევროპის კავშირის წევრობას, თუმცა არც გამორიცხავს მას. ასოცირება ხანგძლივი, რთული და შრომატევადი პროცესია. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან შეიძლება რამდენიმე წლისთავზე მიეცეს ქვეყანას უფლება გახდეს ევროპის კავშირის წევრი.

შეთანხმებაში გამოხატულია სრული პატივისცემა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პრინციპების მიმართ. შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები:

- საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა;
- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა;
- მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება;
- დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული

სტანდარტების დანერგვა: ჯანდაცვა, განათლება, კულტურა.

განათლებასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურადაა გაწერილი 16-ე თავში [15. მუხლი 358]: მხარეები ითანამშრომლებენ განათლებისა და ტრენინგის სფეროში, რათა გაააქტიურონ თანამშრომლობა და დიალოგი, მათ შორის, დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან მიახლოებას. მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას, წახალისონ განათლებისა და ტრენინგის სფეროში თანამშრომლობა და გამჭვირვალობა ყველა დონეზე, განსაკუთრებული აქცენტით უმაღლეს განათლებაზე.

359-ე მუხლში აღწერილია განათლებისა და ტრენინგების სფეროში თანამშრომლობა, *inter alia*, რომელიც მიმართული უნდა იყოს შემდეგი სფეროების განვითარებისაკენ:

- განათლებისა და ტრენინგის სისტემების მოდერნიზება, ხარისხის გაუმჯობესება, განათლების ყველა საფეხურის რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა – ადრეულ ასაკში განათლებისა და მზრუნველობიდან დაწყებული, უმაღლესი განათლების ჩათვლით;

- უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება იმ საშუალებით, რომელიც თანხვედრაშია ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ (Modernisation Agenda for Higher Education) და „ბოლონიის პროცესთან“;

„ევროპის უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის ზრდისა და სამუშაო ადგილების მხარდაჭერის პროგრამა“ (2014-2020 წწ.) მხარს უჭერს ბიუჯეტის მნიშვნელოვან ზრდას განათლებაში, კვლევებსა და ინოვაციებში. უმაღლესი განათლება, კვლევა და ინოვაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ პიროვნებისა და მთლიანად საზოგადოების წინსვლაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ადამიანური კაპიტალის შექმნაში, რომ შეიქმნას სამუშაო ადგილები, ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა.

- აკადემიურ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, ევროკავშირის თანამშრომლობის პროგრამებში მონაწილეობა, სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილურობის გაზრდა;

- უცხო ენების სწავლების ხელშეწყობა;

- კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აღიარების მიმართულებით პროგრესის ხელშეწყობა და ამ მხრივ ტრანსპარენტულობის უზრუნველყოფა;

- ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის, აგრეთვე, ევროკავშირი-აღმოსავლეთის პარტნიორობის ურთიერთობებზე აკადემიური დიალოგის შესახებ ცოდნისა და განათლების ამაღლება, და ევროკავშირის შესაბამის პროგრამებში მონაწილეობა.

ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა ასოცირების საბჭო (მინისტრების დონეზე), ასოცირების კომიტეტი (მინისტრის მოადგილეების დონეზე), რომელიც ასოცირების საბჭოს ეხმარება მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაში. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი წარმოადგენს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან გეგმას. ამ გეგმით ხდება ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისთვის მომზადება და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა. ამ ეტაპისათვის მოქმედებს 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია განათლების მიმართულებით კვლევის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის სფეროებში მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პრიორიტეტები. მოკლევადიანი პრიორიტეტია ქართული საერთაშორისო ტექნოლოგიური სისტემისთვის (როგორც საქართველოს ზოგადი განათლებისა და მეცნიერების სექტორის სტრატეგიის ნაწილი) ხედვისა და სტრატეგიის შემუშავება კვლევის ევროპულ სივრცეში პოლიტიკის შემუშავებელთა, აკადემიური და კვლევითი საზოგადოების, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერთა მონაწილეობით. საშუალოვადიანი პრიორიტეტებიდან აღსანიშნავია მაქსიმალური სარგებლის მიღება საქართველოს „ჰორიზონტი 2020“ პროგრამასთან ასოცირებიდან. ასევე, აკადემიური თანამშრომლობის, შესაძლებლობების განვითარებისა და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა ახალი Erasmus+ - ის პროგრამის და მკვლევართა მობილობისა და ტრენინგის მარი სკოლოდოვსკა-კიურის პროგრამის მეშვეობით.

საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეა და მნიშვნელოვანია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა გაიზიარონ სხვა ქვეყნების გამოცდილებები, რომლებსაც აქვთ დასავლური ღირებულებები და წარმატებული საგანმანათლებლო სივრცე. შესაბამისად, სტატიაში მიმოვიხილავთ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რამდენიმე ასპექტს საქართველოსა და ბალტიის ქვეყნებში.

საქართველო და ბალტიის ქვეყნები გეოგრაფიულად განსხვავებული რეგიონებია, თუმცა, მათ აქვთ სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ხანგრძლივი ისტორია. სამივე ქვეყანა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა და მათ აქვთ მსგავსი პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები და განათლების მსგავსი სისტემები. შესაბამისად, ისინი ხშირად გვიზიარებენ თავიანთ გამოცდილებას ან მიდწევებს. ბალტიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა ორიენტირებულია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში რეფორმების განვითარებაზე.

ბალტიის რეგიონი შედგება სამი სახელმწიფოსგან (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა) ვროპის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. "ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბალტიის ქვეყნებს აქვთ ბრძოლების, თავისუფლების, რეფორმების, განახლების დიდი გამოცდილება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ხდება უფრო და უფრო თანამედროვე და ევროპული მიმართულებისა" [13. 88].

ბალტიის ქვეყნები, კომუნისტური რეჟიმიდან თანამედროვე დემოკრატიამდე მიღებულ წარმატებულ გამოცდილებას ეყრდნობიან, თანხმდებიან, რომ აღმოსავლეთ ევროპა და ამიერკავკასიის ქვეყნები ერთ დღეს შეუერთდებიან ევროპულ სტრუქტურებს და ქმნიან პროგრამებს, რომლებიც ამ ქვეყნებს ეხმარება მართვის სისტემის ეფექტურობასა და გამჭვირვალობაში. ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლობა არაერთხელ აღნიშნავს საერთშორისო ფორუმების, საგანმანათლებლო შეხვედრების და პოლიტიკური გამოსვლების დროს, რომ ისინი ყოველთვის არიან და იქნებიან საქართველოს ინტერესების დამცველები ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, რაც ჯერ კიდევ სამომავლო გეგმაა საქართველოსთვის, ამიტომ ბალტიის ქვეყნების გამოცდილება მისაღები და სასურველია ჩვენ ქვეყნისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან ორი ათეული წლის შემდეგ, ლიეტუვამ, ლატვიამ და ესტონეთმა მყარად დაიმკვიდრეს თავი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. სამივე ქვეყანა ნატოსა და ევროკავშირის წევრია, და ცენტრალური ევროპაა, ვიდრე პოსტსაბჭოთა სივრცე. საქართველოსა და ბალტიის ქვეყნებს შორის საგანმანათლებლო ურთიერთობები ბოლონიის პროცესმა უფრო მოქნილი გახადა. სტუდენტების უწყვეტი გაცვლა და ცოდნის აღიარება ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის სიმყარის საფუძველია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები ამ ქვეყნებში აძლიერებს განათლების წარმატებულ პოლიტიკას, ადგენს საგანმანათლებლო სტანდარტებს, საკანონმდებლო ბაზა ქმნის აკადემიური თავისუფლების მყარ საფუძველს. მთლიანობაში, ბალტიის ქვეყნები ინტენსიურად ახდენენ განათლების ხარისხის ინოვაციას, გეგმავენ ინტერნაციონალიზაციის მექანიზმებს ევროპული უმაღლესი განათლების სისტემის ინტეგრაციის ფარგლებში.

ბალტიის ქვეყნებს აქვთ ძალიან წარმატებული საგანმანათლებლო სისტემა: სამივე რესპუბლიკებში, უნივერსიტეტების ავტონომია, აკადემიური თავისუფლება, კვლევისა და უმაღლესი განათლების პრინციპები დაცულია სრულად. რეგიონიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ესტონეთის საგანმანათლებლო სივრცე. ესტონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა უმაღლესი განათლების სტანდარტი, რომელიც განათლების სისტემის მართვის მყარი სამართლებრივი ბაზაა. ესტონეთის უმაღლესი განათლების ხარისხის სააგენტო [18.4] არის უმაღლესი

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის სრული წევრი [19.1], რაც ნიშნავს, რომ ესტონეთში უმაღლესი განათლების ხარისხი უზრუნველყოფილია ევროპული სტანდარტების შესაბამისად და ესტონური განათლების ხარისხი აღიარებულია ევროპული უმაღლესი განათლების სფეროს მიერ.

ბოლონიის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია დაგეგმვა და ანალიზი, რომელიც ხორციელდება ყოველ ორ წელიწადში. 2005 წელს ბერლინის მინისტრიალის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, ბოლონიის პროცესი მიმდინარეობს ჩართული ქვეყნების ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ეს დეტალური ანალიზი კი მოიცავდა იმ დროისთვის ბოლონიის პროცესში მონაწილე 40 ქვეყანას. სამუშაო ჯგუფმა დამოუკიდებელ ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა კრიტერიუმები და შეფასების ინდიკატორების მიხედვით, ბალტიის სამივე ქვეყანამ და განსაკუთრებით, ესტონეთმა, აჩვენა კარგი შედეგები. სამუშაო ჯგუფმა აღნიშნა, რომ ბოლონიის პროცესის მთავარი დადებითი მხარეა ნებაყოფლობითი ჩართულობა და თანამშრომლობა. ბოლონიის წევრი სახელმწიფოები მზად არიან დაეხმარონ ერთმანეთს, განსაკუთრებით, ახლადმიღებულ ქვეყნებს ან განმცხადებლებს, მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში (ასევე უკრაინა) ჩაერთონ ბოლონიის პროცესში.

ბოლონიის 2007 წლის (მეორე) მოხსენების (ანგარიშის) მაჩვენებლები უფრო მომთხოვნი იყო. ყველაზე პროგრესული მიმართულებები იყო: ა) ხარისხის სისტემა (ორეტაპიანი სისტემის დანერგვა და მესამე დონის სასწავლო პროგრამების დანერგვის ტენდენცია); ბ) ხარისხის უზრუნველყოფა (პროგრესი ხარისხის გარე შეფასების სისტემებში ეროვნულ დონეზე). ანგარიში სხვა საერთო საკითხებთან ერთად, ასახავს საქართველოს მიერ განხორციელებულ საქმიანობას, რომ უკვე ამ დროისათვის საქართველოში შემუშავებულია კანონმდებლობა, აკრედიტაციის პროცედურები და ინსტიტუციური მენეჯმენტი ბოლონიის რეფორმების განსახორციელებლად.

ესტონეთს, როგორც წინა (2005 წ.) ასევე, მიმდინარე ანგარიშში აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები: უმაღლესი განათლების ინტერნეტიზაცია; განათლების აღიარების გაუმჯობესებული პროცედურები. ლატვია არის ქვეყანა, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი შედეგები: მოცემულია აკრედიტაციის რეგულაციები, რაც ხელს უწყობს ხარისხის შიდა და გარე მხარდაჭერას და სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული შედეგების შემუშავებას. ლიეტუვა ასევე წარმატებული ქვეყანაა ბოლონიის პროცესის განხორციელებაში: გაუმჯობესებულია უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მენეჯმენტი, მზარდი ფინანსური და სხვა რესურსები ეფექტურად გამოიყენება.

2009 წლის ლუვენის კომუნიკეს მოხსენებაში მონაწილე თერთმეტმა ქვეყანამ თქვა, რომ ისინი გადახედავენ საკუთარ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებს ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებისათვის.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა რეფორმას განათლების ხარისხის ამაღლებისა და ცნობადობისათვის. აღსანიშნავია საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ ცენტრი უზრუნველყოფის არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით ჩვენი ქვეყნის განათლების აღიარების სერვისების ოპტიმიზაციასა და სრულყოფას, საქართველოს ცნობადობის ამაღლებას ევროპის განათლების სივრცეში და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას.

საქართველოში ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა პროექტი – „უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია“, რომლის დაიგეგმა და განხორციელდა ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი 21 ინგლისურენოვანი პროგრამის შეფასებაში საერთაშორისო ექსპერტების, სტუდენტებისა და დამსაქმებლების მონაწილეობა. ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა 10 რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი შეფასება და ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, შპს კავკასიის უნივერსიტეტთან და ა(ა)იპ – ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტთან. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და ცენტრის მხარდაჭერით, 27-28 სექტემბერს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – "უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო სარეიტინგო სისტემები", სადაც მონაწილეობდნენ სამინისტროს მიერ მოწვეული უნივერსიტეტების საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების წარმომადგენლები და იმ სააგენტოების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო სტუდენტების მოწვევაზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით 2017 წლის 14-15 დეკემბერს გაიმართა კონფერენცია „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა, შედეგები და შემდეგი ნაბიჯები“. ყველა ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმის პირველი ეტაპის შეჯამებას, რაც გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროცედურების განახლებას და მათ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მოთხოვნებთან (ESG 2015) შესაბამისობაში მოყვანას. ამასთან, რეფორმა მიზნად ისახავს განვითარებაზე და შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფორმირებას, რაც ასევე ხაზგასმულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებულ ასოცირების შეთანხმების 2017-2020 წლების დღის წესრიგში.

ასევე, საყურადღებოა, საქართველოს წარმომადგენლობის ანგარიში ასოცირების განხორციელების შესახებ (6.2.2020), რადგან აქ დიდი ადგილი ეთმობა განათლების თემას. ანგარიში ასახავს ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ მდგომარეობას. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირი საქართველოს თვლის რეგიონის მთავარ პარტნიორად და სრულად უჭერს მხარს მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში. საქართველო კვლავაც ერთგულად მუშაობს და აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივ არქიტექტურაში. საქართველომ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირთან სამომავლო დაახლოების პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებაში: ქვეყნის შიდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, ქვეყანა განაგრძნობს სწრაფვას ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე მუდმივად ჩართულია ორმხრივი კონსულტაციების რეჟიმში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მობილობის პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. საქართველოში პროგრესია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიმართულებით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გახდა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის წევრი და შევიდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპის რეესტრში. საქართველო აგრძელებს წარმატებული Erasmus + მონაწილეობას უმაღლესი განათლებისა და ახალგაზრდობის სფეროებში. საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სტიპენდიანტების რიცხვით, ის 141 მონაწილე ქვეყანიდან მე-6 ადგილზეა.

კვლევისა და ინოვაციის მიმართულებითაც წინსვლაა, საქართველომ დაიწყო Horizon 2020 პოლიტიკის რეკომენდაციების ეტაპობრივი განხორციელება. აქცენტები გაკეთდა: პრიორიტეტებიზე/იდენტიფიცირების პერსპექტიული კვლევის სფეროების განსაზღვრაზე; სამეცნიერო-ბიზნესის კავშირების დამყარებაზე; ინსტიტუციურ დონეზე თანამშრომლობის გაღრმავებაზე. საქართველომ გადადგა ნაბიჯები საკუთარი სამეცნიერო სექტორის ინტერნაციონალიზაციისათვის და სექტემბერში გახდა EURAXESS კვლევითი ქსელის წევრი. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ინტეგრაციას ევროპულ კვლევის სფეროში.

ანაგრიშის დასასრულს, კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველო ერთგულია ასოციაციის ხელშეკრულებისა და პასუხისმგებელია ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. 2020 წელი კი მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვის, რათა გააგრძელოს რეფორმების შესრულება, რაც გადაწყვეტია მისი ევროპულ გზაზე შემდგომი წინსვლისთვის. მიუხედავად ამისა, საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჯერ კიდევ პრობლემატურ საკითხად რჩება ჩვენი ქვეყნის შეზღუდული ადამიანური რესურსი, რაც, სამწუხაროდ, ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს გარე შეფასების პროცესში და სავარაუდოდ, იწვევს შეფასების პროცესის ნაკლებ ეფექტურობას.

ბალტიის ქვეყნების განათლების სისტემების შესწავლის შედეგად, შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ამ ქვეყნების განათლების სისტემების წარმატება და ცნობადობა საერთაშორისო სივრცეში. უპირველესად, ესაა ბალტიის ქვეყნებში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რამდენიმე დამოუკიდებელი სააგენტოს არსებობა, რაც შესაძლებლობას აძლევს ამ ქვეყნების უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს აირჩიონ ნებისმიერი დამოუკიდებელი სააგენტო ავტორიზაცია-აკრედიტაციისათვის. ეს, თვის მხრივ, ხელს უწყობს მცირე აკადემიური რესურსის მქონე ქვეყნებში ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას. და მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, ესაა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, რომლის დადასტურების ერთ-ერთი საშუალებაა სააკრედიტაციო პროცესში უცხოელ ექსპერტთა ჩართულობა. ბალტიის ქვეყნები ამ მხრივ იყენებენ ერთმანეთის და/ან სხვა მეზობელი ქვეყნების რესურსს. საქართველოში მხოლოდ ერთი ასეთი დაწესებულებაა – ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით განათლების ხარისხს. კარგი იქნებოდა, თუ ამ მხრივ გავიზიარებდით ბალტიის რეგიონის პრაქტიკას. რაც შეეხება უცხოელ ექსპერტთა ჩართულობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ეს პროცესი ახალი დაწყებულია და იმედია, უფრო დახვეწილ სახეს მიიღებს, ჩვენი ქვეყნის განათლების სივრცის ხარისხის ამაღლებასა და ცნობადობის კიდევ უფრო გაზრდას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, ნოემბერი, 2008
2. უნივერსიტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008
3. ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში, ჰელსინკი, 2015
4. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 21.12.2004
5. კარლ იასპერსი, უნივერსიტეტის იდეა, თბილისი, 2004
6. ჯოზეფ სტიგლიცი, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბილისი, 2012
7. ბელა გომელაური, მამუკა თავხელიძე, უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა აკრედიტაცია, თბილისი, 2004
8. XX საუკუნის ისტორია, TIME, დეკოლონიზაცია, გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი, 2014
9. ჯავახიშვილი ნიკოლოზ, ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობების ისტორიიდან, თბილისი, 2011
10. Unravelling quality culture in higher education: a realist review, High Educ (2017) 73:39–60 DOI 10.1007/s10734-015-9979-2
11. Quality Assurance in Higher Education. A Practical Handbook, Central, European University, Yehuda Elkana Center for Higher Education Budapest, Hungary, 2016
12. How Can One Create a Culture for Quality Enhancement? Final Report, October 2016, CHGG
13. Kevin O'Connor, Culture and Customs of the Baltic States, 2006
14. <https://eqe.ge/res/docs/%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%92%E1%83%982017-20201.pdf>
15. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>
16. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>
17. <http://eqe.ge/geo/news/show/307/1674>
18. <http://www.ekka.archimedes.ee/>
19. <http://www.enqa.eu/agencydet.lasso?id>
20. <https://www.eqar.eu/>
21. <http://www.ehea.info/pid34367/implementation-and-national-reports.html>
22. <http://ec.europa.eu/education/>
23. <http://www.enqa.eu/index.php/nceqe-revises-qa-standards-and-procedures/>
24. <https://www.researchgate.net/publication/242347664>

Article received 2021-04-28